საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 129 (5419)

1975 წ. 1 ივლისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

1980 წლის ოლიმპიადის მონაწილე აფროსანთა დედაქალაქ ტალინში დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში მიმდინარეობდა სსრ კავშირის ხალხთა VI ზაფხულის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული რეგატა. ამ სპორტში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები.

• • •

სურათებზე (ზევიდან): საქართველოს აფროსნები აღლუმზე; სარბიელზე არიან „ტორნადოს" კლასის ნავები, მარცხნივ (№ 18) — საქართველოს ეკიპაჟი სპორტის ოსტატების ა. ახუბას და კ. სტაროტილოვის შემადგენლობით; საქართველოს გუნდის მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი ტ. პინეგინი (მარცხნივ) და სპორტის ოსტატი ზ. ხუხუა მსჯელობენ მორიგი დღის შედეგებზე.

ვ. გალაქტიონოვის ფოტოები.

სპარტაკიადის ტაბლო

ადგილები, ქულები

	11 სახეობის ჯამში	ფრენბურთი (ქალები)	ხელბურთი (ვაჟები)	ხელბურთი (ქალები)	აფროსნობა	სულ
რსფსრ	4995	72	30	72	112	5281
უკრაინა	4271	90	72	90	134	4657
მოსკოვი	3974	54	90	42	180	4340
ლენინგრადი	3164,5	24	24	18	24	3254,5
ბელორუსია	2619	30	36	—	28	2713
ყაზახეთი	1767	—	—	—	24	1791
საქართველო	1596	—	54	—	28	1678
უზბეკეთი	1451	36	—	30	—	1517
ლატვია	1389	18	—	—	80	1487
ლიტვა	1364,5	—	18	36	42	1460,5
მოლდავეთი	1172	—	42	24	28	1266
აზერბაიჯანი	1026	42	—	54	20	1142
ესტონეთი	969	—	—	—	102	1071
სომხეთი	952	—	—	—	52	1004
ყირგიზეთი	851	—	—	—	—	851
ტაჯიკეთი	781,5	—	—	—	—	781,5
თურქმენეთი	480	—	—	—	—	480

შენიშვნა: ცხრილში შეტანილია საკავშირო ახალგაზრდული თამაშების შედეგებიც.

გასულ შაბათსა და კვირას სასპარტაკიადო ტურნირები დამთავრდა კიდევ ოთხ სახეობაში (ქალთა ფრენბურთი, ქალთა და ვაჟთა ხელბურთი, აფროსნობა). ახლა, უკვე, როცა ვაჯამებთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის საერთო გუნდურ შედეგებს, მხედველობაში ვიღებთ სპორტის 15 სახეობას და ამ სახეობებში დაგროვილ ქულათა რაოდენობას, რასაც თავისთავად ემატება საკავშირო ახალგაზრდული თამაშების შედეგები.

ბოლო სასპარტაკიადო კვირის შეჯიბრებები ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა უკრაინისა და მოსკოვის სპორტული დელეგაციებისთვის: უკრაინელებმა თავიანთ შედეგს კიდევ 384 ქულა დაუმატეს, მოსკოველებმა — 366.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ რამდენადმე დათმო პოზიციები. მან ბოლო ოთხი სახეობის ჯამში 286 ქულა დააგროვა, მაგრამ ამას რუსეთის სპორტსმენთა საერთო სასპარტაკიადო მაჩვენებელზე გავლენა არ მოუხდენია.

ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა სატურნირო ცხრილის ქვედა ნახევარში. მაგალითად, ბოლო კვირის მაჩვენებლებით აზერბაიჯანის წარმომადგენლები IV ადგილზე არიან (118 ქულა), ესტონელები კი — V (102 ქულა).

მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს საერთო IX ადგილისთვის ლატვიისა და ლიტვის გუნდებს შორის. ლატვიელებმა გასულ კვირაში 98 ქულა მიიღეს, ლიტველებმა — ორით ნაკლები.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილია ყაზახეთისა და საქართველოს დელეგაციების ბრძოლისკენ. 11 სახეობის შემდეგ ყაზახეთი წინ იყო 171 ქულით. ბოლო კვირის შეჯიბრებებში ყაზახეთმა მხოლოდ 24 ქულა აიღო, საქართველომ კი — 82. ესე იგი, სხვაობა ამ დელეგაციებს შორის შემცირდა 58 ქულით და ახლა 113 ქულას შეადგენს.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს, სპორტის რომელ სახეობას რა წვლილი აქვს შეტანილი ამ ორი რესპუბლიკის დელეგაციების საერთო ქულაბაში.

	ყაზახ.	საქართ.
კრივი	126	88
მშვილდოსნობა	—	42
წყალში ხტომა	42	6
წყალბურთი	42	36
თანამ. ხუთჭიდი	28	—
ცურვა	175	164
მძლ. მრავალჭიდი	—	—
სასტენდო სროლა	12	30
ფარიკაობა	48	74
ნიჩბოსნ. (ბაიდ., კანოე)	6	18
კალათბურთი (ქალები)	24	—
აფროსნობა	24	28
ფრენბურთი (ქალები)	—	—
ხელბურთი (ქალები)	—	—
ხელბურთი (ვაჟები)	—	54
ახალგ. თამაშები	1264	1138
სულ	1791	1678

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყაზახეთის დელეგაცია თავის მდგომარეობას (VI ადგილს) ძირითადად საკავშირო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებს უნდა უმადლოდეს, რომელიც მან საქართველოს 126 ქულით მოუგო. წლევანდელ ასპარეზობაში კი უპირატესობა ჯერჯერობით ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მხარესაა. ისინი ყაზახეთის წარმომადგენლებს 13 ქულას უგებენ (საქართველოს 540 ქულა აქვს, ყაზახეთის სპორტსმენებს — 527).

ყაზახეთის დელეგაციამ მოგვიგო სპორტის 6 სახეობა (კრივი, წყალში ხტომა, წყალბურთი, თანამედროვე ხუთჭიდი, ცურვა და ქალთა კალათბურთი). ამდენივე სახეობაში (მშვილდოსნობა, სასტენდო სროლა, ფარიკაობა, ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეებით, აფროსნობა და ვაჟთა ხელბურთი) უპირატესობა საქართველოს სპორტსმენთა მხარესაა. ხუთ სახეობაში (მშვილდოსნობა, მძლეოსნური მრავალჭიდი, ქალთა და ვაჟთა ხელბურთი, ქალთა ფრენბურთი) ჩვენი მეტოქეები შეუფასებელი არიან. საქართველოს სპორტსმენებმა ქულები ვერ მიიღეს ხუთ სახეობაში (მძლეოსნურ მრავალჭიდში, თანამედროვე ხუთჭიდში, ქალთა კალათბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში).

კვლავ ლიდერობს რუსეთის ფედერაციის ნაკრები. შემდეგ მოდიან უკრაინა, მოსკოვი...

ბოლო, ყველაზე დაძაბული დღე

კიევი, 29 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს დამთავრდა ხელბურთელთა გუნდების ფინალური ტურნირი.

რთული სიტუაცია შეიქმნა VII-XII ადგილებისთვის მებრძოლ ქალთა გუნდებს შორის. სამ კოლექტივს 8-8 ქულა ჰქონდა და სამივე VII ადგილისთვის იბრძოდა. საქართველოს გუნდმა ყირგიზეთის წარმომადგენლებთან გაიმარჯვა ანგარიშით 18:12 (11:7) და XI ადგილი დაიკავა. 2 ქულა, რომელმაც საქართველოს სპორტსმენები ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე გაიყვანა, გუნდმა გუშინ აიღო, ხოლო შეჯიბრების ბოლო დღეს წააგო ლენინგრადის კოლექტივთან — 11:16 (7:8).

საქართველოს ქალთა გუნდის წარუმატებლობით გამოწვეული სინანული ერთგვარად განქარდა ხელბურთელ ვაჟთა გამარჯვებამ, რომლებმაც სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს.

შაბათს საქართველოს ვაჟები ბელორუსიის ძლიერ გუნდს შეხვდნენ და მხოლოდ მოგების შემთხვევაში ექმნებოდათ ბრინჯაოს მედლების მოხვეჭის შანსი. მატჩი ძალიან დაძაბული გამოდგა. თითქმის მთელი თამაშის მანძილზე საქართველოს ხელბურთელები მდევართა როლში იყვნენ. პირველი ტაიმი მათ წააგეს ანგარიშით 10:12. მეორე ტაიმის შუა პერიოდში სხვაობამ ოთხ ბურთს მიაღწია, მაგრამ 55-ე წუთზე სამხრეთელებმა ანგარიში გაათანაბრეს — 22:22. 58-ე წუთზე საქართველოს ხელბურთელები დაწინაურდნენ, მაგრამ ბელორუსიელებმა კვლავ აღადგინეს თანაფარდობა. როცა მატჩის დამთავრებას 8 წამი აკლდა, გ. ჭყონია უხეშად მოცელეს. გუნდის კაპიტანს გ. ბერიაშვილს შეეძლო გამარჯვების ბურთის გატანა, მაგრამ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. შედეგად — ფრე — 23:23.

მთელი მატჩის მანძილზე ბელორუსიელები ძალიან მჭიდროდ ეთამაშებოდნენ ქართველებს, ზოგჯერ უხეშობდნენ კიდეც. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ბელორუსიელთაგან ოთხი მოთამაშე გააძევეს და მათს კარში შვიდჯერ დაინიშნა 7-მეტრიანი საჯარიმო. საქართველოს წარმომადგენლებმა მხოლოდ სამი საჯარიმოს

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

ახუბას და ზოიძის 28 ქულა

ტალინის ყურეში დამთავრდა აფროსანთა შეჯიბრება. სპარტაკიადის ჩემპიონობა კიდევ ორმა სპორტსმენმა მოიპოვა ვადამდე: „ფინის" კლასის ნავებით რბოლაში მოსკოველმა ა. ბალაშოვმა, ხოლო „ტორნადოთი" — მისმა თანაქალაქელმა ვ. ვასილიევმა. ამ უკანასკნელ კლასში სოხუმელი სპორტის ოსტატი ა. ახუბა (მატროსი ა. სტაროტილოვი) ბოლო, მეექვსე რბოლაში ფინიშთან მესამე მივიდა და საბოლოოდ IV ადგილი დაიკავა.

„ტემპესტის" კლასის ნავებით ბოლო ორ რბოლაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელმა თ. ზოიძემ (მატროსი გ. გიორგობიანი) მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა და საბოლოოდ მეექვსედან IV ადგილზე გადავიდა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სხვა კლასების ნავებით ჩათვლა ვერ მიიღეს. ამრიგად, 28 ქულა მხოლოდ ახუბამ და ზოიძემ მოიპოვეს.

ტექნიკური შედეგები

„ფინის" კლასი. ბალაშოვი (მოსკოვი) — 0 საჯარიმო ქულა (ქულები აღებულია 6 რბოლიდან 5 საუკეთესო შედეგის მიხედვით), ზაკოვოროტნი (რსფსრ) — 24,0, ბელოუსოვი (უკრაინა) — 43,4, უდრისი (ლატვია) — 47,4, ტამკვაიტისი (ლიტვა) — 54,7, ისტომინი (სომხეთი) — 55,7, მუდრიჩენკო (ყაზახეთი) — 58,7, რაიხერტი (მოლდავეთი) — 60,7.

„470". იგნატენკო (მოსკოვი) — 14,7, პოტაპოვი (რსფსრ) — 16,7, აქსიონოვი (უკრაინა) — 17,1, კორბანი (მოლდავეთი) — 45,4, ჩერნინი (ლენინგრადი) — 50,7, რიაბკო (ბელორუსია) — 53,0, ერმოშკინი (აზერბაიჯანი) — 55,0, როჟკოვი (ყაზახეთი) — 65,0.

„მფრინავი ჰოლანდიელი". ლეონტიევი (მოსკოვი) — 11,0, გუსენკო (უკრაინა) — 16,7, კალინა (ბელორუსია) — 29,1, სტეპანენკო (სომხეთი) — 30,7, კნიაზევი (ლატვია) — 41,7, ორეშკინი (რსფსრ) — 63,8, დალიკასა (ლიტვა) — 64,0, ოტსონი (ესტონეთი) — 75,0.

კატამარანი „ტორნადო". ვასილიევი (მოსკოვი) — 8,7, ჩიჟოვი (უკრაინა) — 19,0, პომერანტსი (ესტონეთი) — 28,1, ახუბა (საქართველო) — 31,4, შუგაი (ლენინგრადი) — 39,7, კლივერი (ყაზახეთი) — 51,4, შტოლცერი (ლატვია) — 61,7, ჩაბანი (რსფსრ) — 65,0.

„სოლინგი". ჩუჩელოვი (ესტონეთი) — 20,1, ბუდნიკოვი (მოსკოვი) — 28,7, ბერდაში (ლატვია) — 33,8, მაქსიმოვი (სომხეთი) — 35,4, როგაჩოვი (რსფსრ) — 36,7, დეგტიარი (უკრაინა) — 39,4, კალანავიჩუსი (ლიტვა) — 48,0, მიხაილოვი (აზერბაიჯანი) — 50,7.

„ტემპესტი". მანკინი (უკრაინა) — 0, შელკოვნიკოვი (რსფსრ) — 20,0, მეტსერი (ესტონეთი) — 35,0, ზოიძე (საქართველო) — 42,1, კონდაკოვი (მოსკოვი) — 43,1, პოვა (ლატვია) — 47,7, სადიხოვი (მოლდავეთი) — 59,4, სამკვაიტისი (ლიტვა) — 60,7.

საერთო გუნდური შედეგები „ლელომ" წინა ნომერში გამოაქვეყნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

ბოლო, ყველაზე დაძაბული დღე

დასასრული

გამოყენება შეძლეს, სამაგიეროდ, მათი გუნდის არც ერთი მოთამაშე არ გაუძევებიათ.

დაკარგულმა ქულამ საქართველოს ნაკრების საგრძნობლად შეურყია ბრინჯაოს მედლების მოპოვების იმედი. ახლა მათ ბოლო მატჩი სპარტაკიადის ჩემპიონებთან — მოსკოველებთან ფრედ მაინც უნდა ეთამაშათ.

სამხრეთელთა გუნდის ყოველი წევრი პასუხისმგებლობას გრძნობდა კოლექტივის წინაშე და, რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი მთელი ძალით ითამაშებდნენ. ანპილოგოვს მიეცა პერსონალური დავალება, რომ მოსკოველთა ცენტრალური თავდამსხმელის ჩერნიშოვის წინააღმდეგ ეთამაშა. ტაბიძეს დაევალა სწრაფი კონტრშეტევების გაშლა. არც თუ მაღალ, მაგრამ ძალიან მოძრავ ბუნაძეს ცენტრალური თავდამსხმელის როლი დაეკისრა. ამავე დროს, მას გუნდის შეტევები უნდა დაეგვირგვინებინა. საქართველოს ხელბურთელებმა ამოცანები ბრწყინვალედ შეასრულეს. მე-7 წუთზე ანგარიში იყო 4:2 მათს სასარგებლოდ. ორქულიანი სხვაობა გუნდმა ტაიმის მიწურულამდე შეინარჩუნა და მოსკოველებმა მხოლოდ დიდი ბრძოლის შედეგად გაათანაბრეს ანგარიში — 16:16.

შესვენების შემდეგ საქართველოს ხელბურთელებმა ისე კარგად ითამაშეს, როგორც მანამდე არც ერთ მატჩში არ უთამაშიათ. მათ ყველაფერი გამოსდიოდათ. ან სად ჰქონდათ ამდენი ძალა, როცა უკან დარჩა ასეთი მარათონული ტურნირი? მეორე ტაიმში საქართველოს გუნდს ტაქტიკური გეგმა არ შეუცვლია. გამარჯვების უდიდესმა წყურვილმა იგი საბრძოლველად განაწყო და ანგარიში სწრაფად იზრდებოდა მის სასარგებლოდ. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ტაბიძის ბრწყინვალე თამაში, რომელმაც მეორე ტაიმის 13 წუთის მანძილზე 6 ბურთი გაიტანა. კარგად ითამაშა, აგრეთვე, ახალგაზრდა მეკარე კომახიძემ. მეორე ტაიმის შუა პერიოდში დაშავდა და მოედნიდან გავიდა ტაბიძე. ანგარიში ამ დროს უკვე 27:24 იყო სამხრეთელთა სასარგებლოდ. ტაბიძის მაგივრად მოედანზე შემოვიდა ბუნაძე, რომელმაც ამ მატჩში 9 ბურთი გაიტანა.

როცა გაისმა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა, ანგარიში იყო 35:30 საქართველოს ხელბურთელთა სასარგებლოდ.

მატჩის შემდეგ ი. ფხაკაძემ გვითხრა, გუნდმა თავისი შესაძლებლობა მთლიანად ვერ გამოავლინაო. მაგრამ მეორე ტაიმში მოთამაშენი ყოველგვარ ქებას იმსახურებდნენ. ასეთი თამაში ფირზე უნდა იწერებოდეს და შემდეგ ისწავლებოდეს, როგორც სახელმძღვანელო.

ბრინჯაოს მედლების ბედი გადაწყდებოდა იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელები დაამარცხებდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლებს. ასეც მოხდა: მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 29:19 (12.8) და ვერცხლის მედლებიც მოიხვეჭეს.

სხვა მატჩები: ქალები. 28 ივნისი. მოლდავეთი — ლენინგრადი 15:11 (9:3), უზბეკეთი — აზერბაიჯანი 15:24 (6:15), რსფსრ — მოსკოვი 17:15 (7:8), უკრაინა — ლიტვა 20:12 (10:4), ტაჯიკეთი — ესტონეთი 6:23 (3:7), ბელორუსია — ყაზახეთი 22:14 (13:6); 29 ივნისი. მოსკოვი — უზბეკეთი 17:17 (10:9), ლიტვა — რსფსრ 19:19 (10:10), აზერბაიჯანი — უკრაინა 7:17 (5:10), ყირგიზეთი — ბელორუსია 11:26 (9:12), ყაზახეთი — მოლდავეთი 16:24 (9:11). ვაჟები. 28 ივნისი. ესტონეთი — ლენინგრადი 22·27 (9:15), მოსკოვი — რსფსრ 27:26 (13:16), უკრაინა — მოლდავეთი 21:19 (11:8), ყაზახეთი — სომხეთი 29:34 (18:19), აზერბაიჯანი — უზბეკეთი 24:29 (12:13), ლიტვა — ლატვია 28:25 (12:12); 29 ივნისი. მოლდავეთი — ბელორუსია 25.23 (11:11), ლატვია — აზერბაიჯანი 29:19 (12:9), ლენინგრადი — ლიტვა 30:28 (13:16), უზბეკეთი — ესტონეთი 39:20 (19:11).

ე. მოსკალენკო.

ფავორიტთა უპირატესობით

მოსკოვი, 29 ივნისი. ფრენბურთელ ვაჟთა სასპარტაკიადო ტურნირში გაიმართა შესარჩევი შეჯიბრებების მეორე და მესამე ტურები. მოგვყავს ტექნიკური შედეგები: ტაჯიკეთი — სომხეთი — 2:3, ყირგიზეთი — ლატვია 1:3, ესტონეთი — მოსკოვი 1:3, თურქმენეთი — აზერბაიჯანი — 0:3, ლიტვა — უზბეკეთი 1:3, საქართველო — უკრაინა 1:3, ლენინგრადი — ყაზახეთი 3:1, მოლდავეთი — რსფსრ 0:3, ლატვია — ესტონეთი 3:2, მოსკოვი — ტაჯიკეთი 3:0, უკრაინა — მოლდავეთი 3:0, უზბეკეთი — თურქმენეთი 3:0, ყირგიზეთი — სომხეთი 3:0, ლენინგრადი — აზერბაიჯანი 3:0.

ჩვენ არ დაგვიბეჭდავს შეჯიბრების პირველ დღეს ყირგიზეთისა და ესტონეთის გუნდების შეხვედრის შედეგი. ეს მატჩი ესტონელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2.

უკრაინელთა ჯილდოები

ბაქო, 29 ივნისი. ფრენბურთელ ქალთა გუნდების სასპარტაკიადო ტურნირის ბოლო დღეს უკრაინის ნაკრებს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, რათა ჩემპიონის ოქროს მედლებს დაუფლებოდა. ეს მან შეძლო კიდეც, დაამარცხა აზერბაიჯანის გუნდი — 3:1.

კვლავ წარუმატებლად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც შაბათს წააგო ლენინგრადის გუნდთან — 0:3 (8:15, 3:15, 4:15), ხოლო დღეს დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა ყირგიზეთის წარმომადგენლებთან — 2:3 (8:15, 15:3, 15:11, 2:15, 11:15).

გაგაცნობთ სპარტაკიადის ბოლო ორი დღის ტექნიკურ შედეგებს: 28 ივნისი. ყირგიზეთი — ყაზახეთი 3:1, ლიტვა — ლატვია 2:3, რსფსრ — უკრაინა 2:3, აზერბაიჯანი — უზბეკეთი 3:0, მოსკოვი — ბელორუსია 3:0, ესტონეთი — თურქმენეთი 3:0, მოლდავეთი — სომხეთი 3:1; 29 ივნისი. ბელორუსია — რსფსრ 2:3, უზბეკეთი — მოსკოვი 0:3, ლატვია — ლენინგრადი 1:3, ყაზახეთი — ლიტვა 3:1, თურქმენეთი — მოლდავეთი 2:3, ტაჯიკეთი — ესტონეთი 0:3.

უკრაინის გუნდმა კიდევ ერთი ჯილდო წაიღო შინ: ჟურნალისტთა ნაკრებმა ტურნირის უმშვენიერეს ასულად ერთხმად ცნო კიეველი ა. როსტოვა.

საბოლოო ცხრილები

I-VI ადგილები

უკრაინა	5	4	1	13—8	4
რსფსრ	5	4	1	14—11	4
მოსკოვი	5	3	2	13—7	3
აზერბაიჯანი	5	2	3	10—11	2
უზბეკეთი	5	2	3	8—12	2
ბელორუსია	5	0	5	6—15	0

VII-XII ადგილები

ლენინგრადი	5	5	0	15—1	5
ლატვია	5	3	2	11—10	3
ლიტვა	5	2	3	9—9	2
ყაზახეთი	5	2	3	8—12	2
ყირგიზეთი	5	2	3	7—12	2
საქართველო	5	1	4	7—13	1

XIII-XVII ადგილები

ესტონეთი	4	4	0	12—2	4
მოლდავეთი	4	3	1	10—3	3
სომხეთი	4	2	2	8—7	2
ტაჯიკეთი	4	1	3	6—3	1
თურქმენეთი	4	0	4	2—12	0

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა



კვარცხლბეკზეა ორი ლალი

რუსთავში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა მხატვრულ ტანვარჯიშში. მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისისა და მასპინძელთა გუნდები.

სამი დღის შემდეგ სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზეთა შორის 45 ქულით სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა თბილისის 50-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ლალი დოლიძემ (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. სალუქვაძე), რომელმაც ოსტატის ნორმა შეასრულა. II ადგილზეა ლარისა გოცირიძე (აჭარა) — 43,7 ქულა. მას 0,4 ქულით ჩამორჩა და III საპრიზო ადგილზე გავიდა თბილისის 128-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ლალი დოლიძე.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით I ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ტ. ზარემბომ (41,7 ქულა). II და III ადგილები დაიკავეს აჭარის გუნდის წევრებმა ე. ხაზანოვამ (39,1) და ი. კისელიოვამ (38,8).

პირველთანრიგოსანთა შორის სამივე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ აფხაზეთის წარმომადგენლებს მ. ლეჟავას (43,3), ი. მატრიონკინას (43,35) და ა. დროზდოვას (42,35).

გუნდური I ადგილი დიდი უპირატესობით მოიგო თბილისის ნაკრებმა (მწვრთნელი ნ. სალაძე), რომლის სახელსაც იცავდნენ ორი ლალი დოლიძე, ი. გაბაშვილი, ლ. სულხანიშვილი, ე. ლომკაცი, მ. მორბედაძე (347,19 ქულა). მეორე პრიზიორია ქუთაისის გუნდი (215,75). III ადგილზე აფხაზეთის მოსწავლეები გავიდნენ (214,7).

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

სურათებზე: სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის გამარჯვებულნი (მარცხნიდან) ლალი დოლიძე, ლალი დოლიძე და ლარისა გოცირიძე; ლ. გოცირიძე ლენტით ასპარეზობისას.

ავტორის ფოტოები.

ოთხი ახალი სპორტის ოსტატი

ბათუმში აკრობატიკაში გამართული შეჯიბრების შედეგად საქართველოს სპორტის ოსტატთა რიგებს კიდევ ოთხი კაცი შეემატა. ეს მოხდა მოსწავლეთა ტურნირში, რომელშიც აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის კოლექტივები გამოდიოდნენ.

სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი პიონერის ეთერ ეჯიბიას სპორტულ ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე ღირსსახსოვარი ასპარეზობა. სპორტის ოსტატობის პროგრამით 15 მოსწავლე გამოდიოდა. ეთერი ისე მოხდენილად, ისე დახვეწილად ვარჯიშობდა, რომ მსაჯებმა საბოლოოდ მისი გამოსვლა სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების ჯამში 36,03 ქულით შეაფასეს, რაც ოსტატის სახელის ტარების უფლებას იძლევა. ეჯიბიას მხოლოდ თანაგუნდელმა სპორტის ოსტატმა მ. ტყებუჩავამ და თბილისელმა სპორტის ოსტატმა ს. მკრტჩიანმა აჯობეს. თითოეულმა 36,66 ქულა მოაგროვა.

რესპუბლიკის მოსწავლეთა ამ შეჯიბრებაში ჭაბუკების ჯგუფურ ვარჯიშში სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულეს, აგრეთვე, მე-10 სკოლის მერვეკლასელმა გ. თურქაძემ, 92-ე სკოლის მეათეკლასელებმა ს. მკრტჩიანმა და ს. ავეტისიანმა. თბილისელთა ამ კვარტეტის მეოთხე წევრი გ. კაკაშვილი იყო.

ჭაბუკთა შორის ხტომაში სპორტის ოსტატობის პროგრამით ძალას ათი მოსწავლე ცდიდა, მაგრამ მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია. პრიზიორთა შედეგები საკმაოდ მჭიდრო გამოდგა. გამარჯვებულმა — რუსთავის გუნდის წევრმა გ. ავალიანმა 35,26 ქულა მოაგროვა, მეორე პრიზიორმა რ. ბეჟანიძემ (აჭარა) — 34,95, ხოლო გუდაუთელმა ზ. არისთავამ — 34,85.

ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში ოსტატობის პროგრამით მაღალი მომზადება გამოავლინეს რუსთაველმა სპორტის ოსტატებმა ვ. არუთინიანმა და ე. ვჩერაშნიმ — 72,50.

გოგონათა წყვილებს შორის გაიმარჯვეს ქ. კონცელიძემ და თ. ზერუზუცაიამ (აჭარა) — 67,41. გოგონათა სამეულების ვარჯიშში მოიგო ე. ენდერის, ნ. აფაქიძისა და ნ. კუშნირიოვას (აჭარა) ტრიომ — 103,59, შერეული წყვილების ბრძოლა — სოხუმელებმა ს. ჩხეიძემ და მ. ბესელიამ — 68,50. ამ ვარჯიშში უფროსთა პირველი თანრიგის პროგრამით გაიმარჯვეს ა. არუთინოვამ და ტ. სპაოდინეიკომ (რუსთავი) — 69,98, მოზარდთა პირველი თანრიგით — ა. მაჭავარიანმა და ს. ლაჭყეპიანმა (ქუთაისი) — 34,32.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით გოგონათა ჯგუფური ვარჯიში ი. ჩერტკოვას, თ. ტალახაძისა და თ. ხანიაშვილის (რუსთავი) გამარჯვებით დამთავრდა — 34,41.

უფროსთა პირველი თანრიგის პროგრამით ძალისმიერი წყვილების შეჯიბრებაში უძლიერესნი იყვნენ აჭარის გუნდის წევრები რ. ბანდურიანი და ლ. პაროიანი — 68,44.

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ჭაბუკთა ჯგუფურ ტურნირში ყველას აჯობა გ. სუთიძის, ვ. როინიშვილის, გ. კეხვევისა და ვ. სკოროდუმოვის (რუსთავი) კვარტეტმა — 134,64.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 637,95 ქულა, რუსთავი — 634,25, აფხაზეთი — 610,95, აჭარა—595,51, სამხრეთ ოსეთი — 465,95, გორი — 328,1, ქუთაისი — 322,52.

რ. მაღრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

გუშინ თბილისში, საქართველოს ფილარმონიის მცირე დარბაზში, შედგა საკავშირო დოსააფის მე-10 ლატარიის მოგებათა ტირაჟი. გათამაშდა 7200000 მოგება, სულ 20 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სურათზე: დოსააფის ლატარიის ტირაჟის გათამაშება.

ф. კავკასიძის ფოტო.

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

28 და 29 ივნისს შედგა მორიგი, XIII ტურის მატჩები.

ცსკა — „კარპატი“ 2:2. მოსკოველებმა (კუზნეცოვი) ანგარიში გახსნეს, მაგრამ შემდგომ ზედიზედ 2 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში ხიჟაკისა და კიკოტისგან. მხოლოდ 75-ე წუთზე შეძლო ტელინგერმა ანგარიშის გათანაბრება.

„დინამო“ (კიევი) — „ფახტაქორი“ 0:1. ეს იყო ტურის სენსაცია: ჩემპიონმა და ლიდერმა მარცხი იწვნია და ისიც საკუთარ მინდორზე ტაშკენტელთაგან, რომლებიც ამ დღისთვის XII ადგილზე იყვნენ გათამაშების ცხრილში. დინამოელთა კარში გოლი გაიტანა ისაკოვმა. ჩემპიონთა შემადგენლობაში არ გამოდიოდნენ ბლოხინი და ონიშჩენკო.

„ჩერნომორეცი“ — „ლოკომოტივი“ 1:0.

„ტორპედო“ — „არარატი“ 1:1. ამ მატჩში დაწინაურდნენ ტორპედოელები (ხრაბროსტინი), მაგრამ ოგანესიანმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

„შახტიორი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0. გოლი, რომელმაც ესოდენ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა დონეცკელებს, სოკოლოვსკიმ გაიტანა.

„ზენიტი“ — ასკ 2:1.

„ზარია“ — „სპარტაკი“ 1:0.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	13	8	3	2	24—11	19
„არარატი“	13	7	2	4	18—13	16
„შახტიორი“	12	6	2	4	23—14	14
„დნეპრი“	13	5	4	4	19—16	14
„ზარია“	13	5	4	4	16—14	14
„დინ.“ (თბ.)	13	6	2	5	14—13	14
„ლოკომოტ.“	13	3	7	3	11—10	13
„დინამო“ (მ.)	13	4	5	4	11—10	13
ცსკა	13	4	5	4	12—13	13
„ფახთაქორი“	13	5	3	5	15—18	13
„ჩერნომორ.“	13	4	5	4	12—16	13
„კარპატი“	13	3	6	4	17—17	12
„ტორპედო“	13	3	5	5	17—18	11
„სპარტაკი“	12	3	5	4	6—8	11
„ზენიტი“	13	4	2	7	11—22	10
ასკ	13	2	2	9	11—24	6

ჩემპიონატები, თასები, ლიგები

იუგოსლავია

ქვეყნის ჩემპიონის წოდება ზედიზედ მეორე წელიწადს მოიპოვა სპლიტის „ჰაიდუკმა“, რომელმაც ბოლო ტურში რიეკაში ანგარიშით 4:1 დაამარცხა ადგილობრივი გუნდი. ჩემპიონს საბოლოოდ 48 ქულა დაუგროვდა.

II ადგილზე გავიდა ნოვი სადის „ვოივოდინა“ — 45 ქულა.

თასები, თასები...

იტალია

ეროვნული თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ფლორენციის „ფიორენტინამ“ უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 3:2 დაამარცხა „მილანი“ და პრიზიც მოიპოვა.

თბილისის „დინამო“ — ლიდერთა ჯგუფში

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 29 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 2:0 (1:0).

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, წერეთელი (გავაშელი).

„დნეპრი“: სობეცკი, კრავჩუკი, ნაიდა, ბოგდანოვი, პილიპჩუკი (ევსეენკო), სოლოვიოვი, შნეიდერმანი, სემიონოვი (პორკუიანი), იაკოვლევი, ხრისტიანი, რომანიუკი.

მსაჯი ი. კალგანოვი (სვერდლოვსკი).

დუბლიორები — 1:2.

საკმაო ხანია დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები ლიდერთა შორის არიან გათამაშების ცხრილში. უკვე პირველი ტურების შემდეგ „დნეპრმა“ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მოწინავეთა ჯგუფში და ქულათა სოლიდური მარაგი შეიქმნა როგორც შინ, ისე სტუმრად ჩატარებულ მატჩებში. მართალია, ახლა აღარავის უკვირს, როცა აღიარებული ფავორიტები ცხრილის ბოლოში ექცევიან და მხოლოდ ქვევიდან „უყურებენ“ იმ გუნდებს, რომლებიც სულ ორიოდე წლის წინათ მხოლოდ ოცნებობდნენ უმაღლეს ლიგაში მოხვედრაზე, მაგრამ მაინც საინტერესო იყო, როგორ, რა თამაშით შეძლეს დნეპროპეტროვსკელებმა მიეღწიათ ასეთი მაღალი მაჩვენებლებისთვის.

სტუმრებმა, უდავოდ, ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისელ მაყურებლებზე. რამდენადმე მაინც სუსტი რგოლი, რომელიც შეიძლება „ხელმოსაკიდებელი“ იყოს მეტოქისთვის, ამ გუნდში არ არის. საუკეთესო ფიზიკური მომზადება, ათლეტური მონაცემები მოთამაშეებს საშუალებას აძლევს ადვილად აიტანონ ის დიდი დატვირთვა, რაც აწევთ მთელს მინდორზე აქტიური, შეუნელებელი მოძრაობისას, შეტევისა და დაცვის მონაცვლეობისას. სათანადო სიმაღლეზე დგას ტექნიკური საშემსრულებლო ოსტატობაც. სტუმრების გუნდის თითოეული წევრი მაქსიმალური ძალით იბრძვის ყოველ ეპიზოდში და, ამდენად, „დნეპრის“ წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელი საქმეა.

სტუმრების ასეთი, თუნდაც მოკლე დახასიათება დაგვჭირდა საიმისოდ, რომ ხაზგასმით აღგვენიშნა ის სიძნელეები, რაც დინამოელებს შეექმნათ ამ მატჩში. იოლ გამარჯვებაზე, რა თქმა უნდა, ფიქრიც ზედმეტი იყო, მაგრამ მოლოდინმა ყველაფერს გადააჭარბა, ვინაიდან თბილისელები შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ და იშვიათი არ იყო მომენტები, როცა მათ გაძლიერებული ძალებით უხდებოდათ თავის დაცვა. მაგალითად, საჯარიმო დარტყმებისა და კუთხური ბურთის მოწოდებისას მასპინძლები უკლებლივ, სრული გუნდით იყვნენ დაწეული საკუთარ საჯარიმო მოედანზე და წინ არავინ რჩებოდა საიმისოდ, რომ მიეღო მოგერიებული ბურთი. ეს „დნეპრს“ საშუალებას აძლევდა ხანგრძლივი, სახიფათო შეტევა გაეშალა. მდგომარეობას ასწორებდა მხოლოდ მაჩაიძის, ყიფიანის, გუცაევის ინდივიდუალური თამაშის მაღალი დონე, როცა მათ დიდ დისტანციაზე უხდებოდათ ბურთის ტარება, სანამ პარტნიორები მოასწრებდნენ წინ გადმონაცვლებას.

თბილისის „დინამომ“ ამ უაღრესად საჭირო გამარჯვებას დიდი ენერგია შეალია, მაგრამ, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ სიძნელეებზე, ბრძოლის სირთულეზე, ეჭვი არავის შეიძლება ჰქონდეს იმის თაობაზე, რომ მატჩი მოგებულია დამსახურებულად, ღირსეულად, რომ 2 ქულა ჩვენმა გუნდმა უძლიერესის სრული უფლებით მოიპოვა.

მატჩის დასაწყისში სტუმრებს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ, გოგიას ძნელი ბურთების აღება მოუხდა რომანიუკის, სოლოვიოვის და კვლავ რომანიუკისგან. დინამოელებმა რამდენიმე კონტრიერიში განახორციელეს, რომელთაგან ერთ-ერთი, 22-ე წუთზე, ზუსტი დარტყმით დაამთავრა ყიფიანმა: მან დროზე მიუსწრო სობეცკის მიერ კოპალეიშვილისგან მოგერიებულ ბურთს.

მეორე გოლს, რომელიც მაჩაიძემ გაიტანა თავით გუცაევის მოწოდებიდან 52-ე წუთზე, თითქოს უნდა გაეტეხა დნეპროპეტროვსკელთა წინააღმდეგობა, მაგრამ ისინი ბოლომდე დაუღალავად იბრძოდნენ და საკმაოდ ხშირად აიძულებდნენ გოგიას ჩაბმულიყო თამაშში.

დინამოელებმა შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება და ახლა, ამ გამარჯვების შემდეგ ისინი ფაქტიურად ლიდერთა შორის არიან, სადაც კონკურენტთა კარგა მოზრდილი ჯგუფია თავმოყრილი. ყველაფერი დამოკიდებულია პირველი წრის ფინიშზე. ჩვენს გუნდს ორი ძნელი მატჩი აქვს: შინ — „შახტიორთან“ და სტუმრად — „ზარიასთან“.

რ. ქორიძე.



მისაბაძი არიან ის სპორტსმენები, რომლებიც ორგანიზებულად, უნარიანად იყენებენ დროს და თანატოლებს განათლების მიღებაში არ ჩამორჩებიან.

ასეთთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი თემურ ესებუა, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სალამოს განყოფილების II კურსის სტუდენტია. მან პედაგოგებისა და თანაკურსელთა სიყვარული დაიმსახურა, როგორც ზრდილმა, დისციპლინიანმა ახალგაზრდამ.

ს უ რ ა თ ზ ე: გამოცდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. პროფესორი ტ. რუხაძე კმაყოფილია თ. ესებუას პასუხით.

გ. შეყილაძის ტექსტი და ფოტო.

I ლიგა

28 ივნისი. „რუბინი“ (ყაზანი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:3, „დინამო“ (მინსკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 5:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „პამირი“ (დუშანბე) 0:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 0:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ალგა“ (ფრუნზე) 3:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 2:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	15	9	3	3	23—9	21
„ნისტრუ“	15	9	3	3	16—14	21
„კრ. სოვეტ.“	15	8	4	3	22—13	20
„ქაირათი“	16	8	3	5	26—15	19
„ტავრია	15	7	5	3	23—14	19
„ნეფთჩი“	16	8	3	5	20—15	19
„ტორპედო“	15	6	6	3	16—10	18
„შინიკი“	15	6	6	3	19—14	18
„სპარტ“ (ორ.)	15	7	3	5	18—13	17
„სპარ.“ (ი.-ფ)	15	5	6	4	19—14	16
„მეტალურგი“	15	6	4	5	19—14	16
„პამირი“	16	4	7	5	19—17	15
„მეტალისტი“	15	4	5	6	13—16	13
„კუზბასი“	15	4	5	6	14—19	13
„რუბინი“	15	4	5	6	13—25	13
„სპარტ.“ (ნ.)	15	3	5	7	11—16	11
„კუბანი“	15	3	5	7	12—19	11
„ზვეზდა“	15	4	3	8	9—17	11
„ურალმაში“	15	3	2	10	10—24	8
„ალგა“	16	1	3	12	7—31	5

II ლიგა I ზონა

დაკარგული ქულები შინ და სტუმრად

განვლილ შაბათს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო“ (ბათუმი) — „ხანკი“ (იანგიარიკი) 1:1

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ბათუმელები საკუთარ მინდორზე დაკარგავდნენ ქულას ერთ-ერთ აუტსაიდერთან, მაგრამ ასე მოხდა. თავდაპირველად კი არაფერი მიგვანიშნებდა იმაზე, რომ სტუმრები შეძლებდნენ თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის. მათს მეკარე კოლესნიკოვს რამდენიმე უაღრესად ძნელი ბურთის აღება მოუხდა ჩელებაძის, ბეჟანიძის, გორგილაძისგან. დინამოელებმა მხოლოდ 35-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გახსნა გორგილაძე — ბეჟანიძის კომბინაციის შემდეგ, მერე კი კვლავ ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა საგრძნობლად გარდაქმნეს თამაში და ახლა უკვე „დინამოს“ მეკარე მორჩილაძეს მოუხდა ბრძოლაში ჩაბმა. 67-ე წუთზე კომისაროვმა მოახერხა საპასუხო ბურთის გატანა და, თუმცა, დარჩენილ დროში ბათუმელები ბევრს ეცადნენ, ველარ შეძლეს ხელიდან გაშვებული გამარჯვების დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ სუსტად იმსაჯა მოსკოველმა არბიტრმა ა. მარტინოვმა, რომელმაც „ხანკის“ ფეხბურთელებს საშუალება მისცა ეთამაშათ წესრიგის დარღვევით, დროის გაყვანით.

ო. მურვანიძე.

„მერცხალი“ (მახარაძე) — „იანგიერი“ (იანგიერი)

1:1

სტუმრებმა დიდი შეუპოვრობა და მებრძოლის თვისებები გამოავლინეს ამ მატჩში და იხსნეს კიდეც ქულა. სანახაობრივად მათი თამაში მოკლებულია მიმზიდველობას, მაგრამ ამის ანაზღაურებას ახერხებენ კარგი ფიზიკური მომზადების მეშვეობით.

პირველი ორმხრივი შეტევების შემდეგ გოლოვანოვი მე-4 წუთზე სწრაფად გავიდა კარგ პოზიციაში და ზუსტი დარტყმით აიღო მასპინძელთა კარი. შემდეგ დიდხანს ენერგიულად უტევდა „მერცხალი“, იანგიერელთა კარიან დროდადრო ორივე გუნდის ყველა მოთამაშე იყრიდა თავს, მაგრამ საპასუხო გოლი არ ჩანდა.

კიდევ უფრო გაძნელდა თამაში შესვენების შემდეგ, რასაც ხელს უწყობდა არაკვალიფიციური მსაჯობა. მახარაძელები იხსნა მათი მცველის სარიშვილის მიერ 89-ე წუთზე განხორციელებულმა გარღვევამ და გადამწყვეტმა დარტყმამ.

ვ. შავიშვილი.

შარმახი და ლატო...

სან-ფრანცისკო, 29 ივნისი. ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი ტურნეს მეორე მატჩი პოლონეთის ნაკრებმა აქ გამართა ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს შარმახმა (2) და ლატომ.

მსოფლიოს X ჩემპიონატის III ადგილის მფლობელის — პოლონეთის ეროვნული გუნდის ყოველი გამოსვლა დიდ ინტერესს იწვევს. ამერიკის შეერთებული შტატებიდან პოლონელები სათამაშოდ კანადაში ჩავლენ.

„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სტროიტელი“ (აშხაბადი)

1:1

ლოკომოტიველებმა მონდომებით დაიწყეს თამაში ძლიერ მეტოქესთან. უკვე პირველივე წუთებზე ბოჭორიშვილსა და დარჯანიას მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, შემდეგ ქარქაშაძემ მოახვედრა ძელს ბურთი. „ლოკომოტივი“ ტაიმის დამთავრებამდე საიმედოდ ფლობდა უპირატესობას, აშხაბადელები კი იშვიათი კონტრშეტევებით კმაყოფილდებოდნენ.

მეორე ტაიმი აღინიშნა „სტროიტელის“ ორგანიზებული იერიშებით, გრძელი, ზუსტი გადაცემებით. 64-ე წუთზე ერთ-ერთი ასეთი კომბინაცია კარპოვმა გოლით დაამთავრა.

სამტრედიელებს მარცხისგან თავის დასაღწევად მთელი ენერგიით მოუხდათ თამაში. „სტროიტელის“ დაცვა და მეკარე ერთხანს წარმატებით იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს, მაგრამ 75-ე წუთზე ერთ-ერთმა მცველმა ხელით მოიგერია დარჯანიას მიერ დარტყმული ბურთი და 11-მეტრიანი საჯარიმო კარგად გამოიყენა სულაბერიძემ.

ა. სირაძე.

ასე დამთავრდა: „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:0, „ფახთაჩი“ (გულისტანი) — „დილა“ (გორი) 2:1, „ჯიზაკი“ (ჯიზაკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 3:1.

ჩემპიონატი სპარტაკიადის შემდეგ

მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ არხზე დამთავრდა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში, მაგრამ სარბიელი არ დაცარიელებულა. სპარტაკიადის შეჯიბრებები ნიჩბოსნობის ოლიმპიურ სახეობებში გაიმართა, შემდეგ კი სტაიერულ დისტანციებზე და ესტაფეტებში სსრ კავშირის ჩემპიონატის მედლები გათამაშდა. ეს ასპარეზობა იყო ძალთა ბოლო შემოწმება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, რომელიც ივლისის პირველ დეკადაში ბელგრადში ჩატარდება.

ორი ოქროს მედალი მოიგო ბელორუსიის ქალთა კვარტეტმა: ლ. კაბაკოვამ, ნ. ივანოვამ, ტ. ლაპტევამ და ნ. ტროხიმენკომ ჯერ 4×500 მეტრზე ესტაფეტაში იმარჯვეს, შემდეგ კი ოთხადგილიანით 500 მეტრზე რბოლაში უველაზე კარგი შედეგი (1.52,4) მოიპოვეს.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ა. შაპარენკო (უკრაინა) სპარტაკიადის პროგრამით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში ვერცხლის ჯილდოს დასჯერდა, ახლა კი ერთადგილიანი ბაიდარებით 10000 მეტრზე რბოლის ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა — 47.01,1.

ორადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობა 10000 მეტრზე რსფსრ-ს დუეტის (ვ. გორბაჩოვი, ვ. კულიკი) გამარჯვებით დამთავრდა — 42.30,02. ამავე მანძილზე ერთადგილიანი კანოეთი ჩემპიონი გახდა ვ. იურჩენკო (უკრაინა) — 51.49,8. ორადგილიანებით შეჯიბრებაში იმარჯვა უკრაინის გუნდმა (რ. იშენკო და ს. გორიშნი). ოთხადგილიანი ბაიდარით უპირატესობა თავიდანვე ბელორუსიის კვარტეტმა მოიპოვა და გაიმარჯვა კიდეც.

ვაჟთა ესტაფეტები (4×500 მ) ბელორუსიისა (ბაიდარები) და უკრაინის (კანოეები) კოლექტივების გამარჯვებით დამთავრდა.

სახალხო დღესასწაული

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში კარგ ტრადიციად იქცა ფაშიზმის უღლისგან რესპუბლიკის გათავისუფლების მრგვალი თარიღების სპარტაკიადებით — მასობრივი სპორტული და ფიზკულტურული დღესასწაულებით აღნიშვნა. პირველად ომის შემდგომი სპარტაკიადა 1955 წელს ჩატარდა, მერე — 1960, 1965 წლებში და ასე შემდეგ. და აი, ახლა პრაღაში თავი მოიყარა ათი ათასობით სპორტსმენმა, რათა მონაწილეობა მიიღოს ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადის ფინალურ ზეიმში.

● როგორ წარიმართა ჩეხოსლოვაკიაში დღემდე შეჯიბრებები და „სპარტაკიადა 75"-ის სხვა ღონისძიებები?

— ფაქტიურად, სპარტაკიადა ჯერ კიდევ ზამთარში დაიწყო, — უპასუხა ამ შეკითხვაზე საკდესის კორესპონდენტს ჩ. კრაევსკის ჩეხოსლოვაკიის ფიზიკური კულტურის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, „სპარტაკიადა 75"-ის კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ხვალნიმ. — შეჯიბრებები, ტურისტთა შეკრებები, ლაშქრობები დაიწყო ადგილებზე, რესპუბლიკის რაიონებში. მაგალითად, სათხილამურო სპორტში სარბიელზე გამოვიდა 700 ათასზე მეტი ადამიანი, მძლეოსნობაში — 40 ათასამდე, ჩოგბურთში — 15 ათასი. სულ სასპარტაკიადო ღონისძიებებში მონაწილეობდა და შეჯიბრებებს ესწრებოდა რამდენიმე მილიონი ადამიანი. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასობრიობის მხრივ წლევანდელმა სპარტაკიადამ ბევრად აჯობა წინას.

● როგორი იქნება პრაღის ასპარეზობის ფინალი?

— იგი ჩვენი ხალხის, პირველ ყოვლისა კი ახალგაზრდობის დიდ დღესასწაულად იქცევა. სპარტაკიადის ცენტრი იქნება სტრაგოვის სტადიონი პრაღაში. აქ ფინალის დღეებში პრაღელები და დედაქალაქის სტუმრები რესპუბლიკის ყოველი მხრიდან ჩამოსულ 140 ათას ფიზკულტურელსა და სპორტსმენს იხილავენ.

● როგორია სპარტაკიადის ფინალური დღეების პროგრამა?

— შაბათს, 28 ივნისს, დილით, ქალაქის ცენტრიდან სტრაგოვის სტადიონისკენ დაიწყო ლამაზი სასპარტაკიადო სვლა. 100 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ამ შთამბეჭდავ აღლუმში. შემდეგ სტადიონზე მოეწყო ფინალური ასპარეზობის საზეიმო გახსნა, სპორტსმენთა მასობრივი გამოსვლები, საჩვენებელი თამაშები და შეჯიბრებები. მაგრამ სპარტაკიადა მარტო ამ სტადიონით როდი შემოიფარგლება. ქალაქის განაპირა უბნებში მოეწყო ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 ათასმა ადამიანმა.

ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ჩატარდება სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებთან ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურელთა მეგობრობის საღამოები. ლიდიცეში მოეწყობა სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა მასობრივი მანიფესტაცია ხალხთა შორის მშვიდობისთვის, მეგობრობისა და თანამშრომლობისთვის.

(საკდესის კორ.).

რაგბი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

კინკლაობა საქმეს არ შველის

თბილისი. „სინათლის" სტადიონი. 29 ივნისი.

„ივერია" (თბილისი) — სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) 12:19 (6:0).

„ივერია": კოტრიკაძე (ჯოხაძე), ურუშაძე, დადეშქელიანი, რეხვიაშვილი, ცხვედიანი (ცოფლაშვილი), კემულარია, რამიშვილი, მამულაშვილი, მენაბდე, ჩოგოვაძე (ციზირია), ანდღულაძე, ეკალაძე, ცინცაძე (ნიჟარაძე), გვალია, აბაშიძე.

ს.-ს. ა.: თუშიშვილი, ნაპოლნოვი (სოლნცევი), ალიოშინი, ხრუშჩოვი, მიკალოვი, კულიკოვი (პროშინი), გორბატოვი, ხოხლოვი, ფიოდოროვი, გრაჩოვი, ვლადიმიროვი, სემენიხინი, ჟერებკო, დორონინი (მგელაძე), ვინოგრადოვი.

მსაჯი ვ. ანენკოვი (მოსკოვი).

ის, რაც ამ მატჩში მოხდა, წარმოსადგენადაც ძნელია, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით: „ივერიამ" წააგო მატჩი, რომელსაც საგრძნობი უპირატესობით იგებდა, წააგო იგი ბოლო 20 წუთში.

მაგრამ, ვიდრე ამ მატჩის შესახებ ვისაუბრებდეთ, არ შეიძლება სტადიონის პრობლემას არ დავუბრუნდეთ. შეხვედრა „ლოკომოტივის" სტადიონზე რატომ არ ჩატარდა, გასაგებია, ვინაიდან კვირას ეს ბაზა ფეხბურთელებს დაეთმო. მაგრამ, ნუთუ დედაქალაქში „სინათლის" ყოვლად უვარგისი სტადიონის მეტი მინდორი არსად მოიძებნება, რომელზეც უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩის ჩატარება შეიძლებოდეს? გარდა იმისა, რომ „სინათლის" სტადიონის მინდორი უსწორმასწოროა, რომ ბალახი ალაგ-ალაგ მუხლამდეა, შეხვედრისთვის ბაზა არც სხვა მხრივ იყო მზად. კარის ძელები მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ძლივს დაამაგრეს, მოედანი კი მხოლოდ სანახევროდ დახაზეს. სხვა ვინმე პრინციპული არბიტრი ასეთ მინდორზე სამსაჯოდ არ გავიდოდა და სწორადაც მოიქცეოდა.

„ივერიის" დასაწყის მარცხში უხეირო მინდორმაც დიდი როლი შეასრულა, თუმცა თბილისელებსაც საკმაო დანაშაული მიუძღვით. მეორე ტაიმში მათმა სუსტმა ფიზიკურმა მომზადებამ იჩინა თავი, თითქმის ყველა მოდუნდა და უპირატესობა დაუთმეს სტუმრებს, რომლებიც მე-60 წუთამდე აგებდნენ — 0:12.

... ეკალაძემ საჯარიმოთი მალე გახსნა ანგარიში, შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე აბაშიძემ ასევე საჯარიმო ბურთი კიდევ ერთხელ გაატარა სტუმართა კარის ძელებს შორის. თამაშის განახლებისთანავე მინდორზე შემოსულმა კიზირიამ და აბაშიძემ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, აბაშიძემ გრძელი რეიდი განახორციელა და ბურთიანად სტუმრების ჩათვლის მოედანზე შეიჭრა. მერე კიზირიას რეალიზაციის გამოყენება არ გასჭირვებია.

სტუმრები დაიბნენ და თითქოს ფარ-ხმალი დაყარეს, მაგრამ მატჩი ხომ უნდა დაემთავრებინათ, და ისინიც ერთხანს ინერციით თამაშობდნენ. დრო გადიოდა, „ივერიის" გუნდში თავი იჩინა წვრთნის (განსაკუთრებით ფიზიკურის) უკმარობამ. გამოცდილ სტუმრებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და შეეცადნენ თამაშის ჩარხი წაღმა დაეტრიალებინათ, რაც შეძლეს კიდეც. ამაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის მგელაძეს, რომელიც არა მარტო თვითონ ორჯერ შევიდა „ივერიის" ჩათვლის მოედანზე და 8 ქულა მოიპოვა, არამედ აქტიური თამაშით მთელი კოლექტივი აიყოლია და 20 წუთში თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა.

„ივერიის" თამაში ამ პერიოდში ახალბედა გუნდის გამოსვლას ჰგავდა, როცა უსუსური სპორტსმენები მარცხს ერთმანეთს აბრალებენ და ხალხის წინაშე კინკლაობასაც არ ერიდებიან. „ივერია" პერსპექტიული გუნდია და ღირსეულად წაგებაც უნდა შეეძლოს.

ო. გელაშვილი.

ისევ რაგბი

რომლებიც 28 და 29 ივნისს გაიმართა, ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (კიევი) — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი 52:10 (21:4), „ფილი" (მოსკოვი) — „ავტომობილისტი" (მოსკოვი) 45:9 (21:9), „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:10 (0:0), „სლავა" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 17:6 (0:6).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი"	5	4	0	1	114:41	8
„სლავა"	5	4	0	1	76:40	8
„ლოკომოტ." (მ.)	5	3	1	1	43:25	7
„სპარტაკი"	5	3	0	2	86:45	6
სამხ.-საჰ. აკად.	5	3	0	2	71:53	6
„ივერია"	5	3	0	2	41:49	6
„ავტომობ."	5	2	1	2	40:70	5
„ლოკომ." (თბ.)	5	2	0	3	39:43	4
„ბურევესტნიკი"	5	0	0	5	14:74	0
საავიაციო ინსტ.	5	0	0	5	40:120	0

[illegible]

თავნება აკონკაგუა

დასავლეთ ნახევარსფეროს ყველაზე მაღალი მწვერვალი, ანდებში მდებარე აკონკაგუას მთა დღემდე გამოცანად რჩება მთამსვლელებისთვის. თუმცა იგი 43-ე ადგილზეა მსოფლიოს მწვერვალთა სიაში, ამ მთაზე ასვლა ძალიან რთულია და თითქმის სასიკვდილო რისკთანაა დაკავშირებული.

მხილველთა სიტყვებით, აკონკაგუას დაპყრობის დროს მთავარ საფრთხეს ხაპრალები და თოვლის ზვავები როდი ქმნის. აქ მთამსვლელებს ყველაზე ხშირად მოსდით გულის შეტევები, აწუხებთ დაღლილობა და ჰალუცინაციები, რის გამოც თავიანთს საქციელს კონტროლს ვეღარ უწევენ. მაგალითად, ორი წლის წინათ ტრაგიკულად დამთავრდა ამერიკელ მკვლევართა ექსპედიცია. ექსპედიციის მონაწილეთაგან სამი სერიოზულად ავად გახდა, ორი კი გზაში დაიღუპა.

მოტოციკლით ნიაგარის ჩანჩქერზე

მას შემდეგ, რაც შარშან ამერიკელი ეველ კნიველი აფრიანი მოტოციკლით დიდ კანიონზე გადახტა, მას ბევრი მიმბაძველი გაუჩნდა. ზოგი ტემზაზე გადასახტომად ემზადება, ამ სურათზე კი თქვენ ხედავთ კნიველის თანამემამულეს, რომელსაც ნიაგარის ჩანჩქერის გადალახვა განუზრახავს. ტრამპლინიდან ჰაერში აჭრილ მოტოციკლს დაეხმარება ჰორიზონტალურად დამაგრებული აფრა. მოტოციკლი ჰაერში პლანირებით ჩანჩქერის მეორე ნაპირზე დაეშვება. ერთ-ერთ საწვრთნელ მეცადინეობაზე მანქანამ ორას მეტრზე იფრინა. პირველი შედეგებით გამხნევებული მრბოლელი დარწმუნებულია თავისი წამოწყების წარმატებაში.



მოჭადრაკეებს მილანი იწვევს

მილანის (იტალია) ჭადრაკის ფედერაციამ, რომელმაც გაზაფხულზე ფიშერ — კარპოვის მატჩის მასპინძლობა შესთავაზა ფიდე-ს, მსოფლიოს აუწყა, რომ დიდ საერთაშორისო ტურნირს ატარებს. ეს შეჯიბრება დაიწყება მილანის სასტუმრო „ლეონარდო და ვინჩიში" 18 აგვისტოს.

იტალიელმა ორგანიზატორებმა გამოაცხადეს ტურნირზე მიწვეულ მოჭადრაკეთა გვარები და ის, რომ I-IV ადგილებზე გასული დიდოსტატები ბრძოლას განაგრძობენ ოთხთა დამატებით მატჩ-ტურნირში.

მილანში ელიან მსოფლიო ჩემპიონს ა. კარპოვს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს ტ. პეტროსიანსა და მ. ტალს (ყველა — სსრ კავშირი), ს. გლიგორიჩს, ლ. ლიუბოევიჩს (ორივე — იუგოსლავია), ლ. პორტიშს (უნგრეთი), ვ. ჰორტს (ჩეხოსლოვაკია), რ. ჰიუბნერს (გფრ), ბ. ლარსენს (დანია), ს. მარიოტის (იტალია) და უ. ანდერსონს (შვეცია).

ხოლმოვი მეორეა

კეჩკემეტში (უნგრეთი) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც გამოჩენილი უნგრელი მოჭადრაკისა და ჟურნალისტის ლ. ტოტის ხსოვნას ეძღვნებოდა.

I ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა კ. ჰონფიმ (უნგრეთი) — 9 ქულა 13-დან. მასპინძელს ნახევარი ქულით ჩამორჩა საბჭოთა დიდოსტატი რ. ხოლმოვი.

კარგი დებიუტი

უკრაინის ჩემპიონი, ოსტატი ლ. მულენკო პირველად მონაწილეობდა ქალთა საერთაშორისო ტურნირში პოლონეთის ქალაქ პიოტრკუვ-ტრიბუნალსკში და 13-დან 11,5 ქულით I ადგილზე გავიდა. მას 2 ქულით ჩამორჩნენ ცნობილი საერთაშორისო ოსტატები უნგრელი ე. კარაკაში და რუმინელი მ. პერევოზნიკი.

ძალოსნები

იამბოლი, 30 ივნისი. ბულგარეთის ძალოსანთა ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა ათლეტმა ხ. პლაჩკოვმა. ის ასპარეზობდა 110 კგ-ს ზევით წონითს კატეგორიაში და ნამდვილად ფენომენალურ შედეგს მიაღწია: მესამე ცდაზე 192,5 კგ აიტაცა, რაც მანამდე მსოფლიოში არავის გაუკეთებია. ეს შედეგი 5 კილოგრამით აღემატება მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ვ. ალექსეევის მსოფლიო მიღწევას. აკვრაში პლაჩკოვმა 230 კგ აჩვენა და ორჭიდში 422,5 კილოგრამის დაგროვებით ერთბაშად 27,5 კილოგრამით გააუმჯობესა ბულგარეთის რეკორდი.

მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი დაიბადა 1953 წელს პატარა ქალაქ ჩეპელარში. ახლა ცხოვრობს ასენოვგრადში, მისი მწვრთნელია ვ. პეტკოვი. საერთაშორისო შეჯიბრებებში პლაჩკოვის უდიდესი მიღწევაა V ადგილი მანილის მსოფლიო ჩემპიონატში.

შეჯიბრების შემდეგ პლაჩკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იმედოვნებს გაიმარჯვოს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში. ბულგარელ სპორტსმენს განზრახული აქვს მაჩვენებლები აიყვანოს: აცტაცში — 200 კილოგრამამდე, აკვრაში — 250 კილოგრამამდე.

ძალოსნები

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გრ. № 71)
2 ივლისს
[illegible]
სსრ კავშირის თასი
მეოთხედფინალი
„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი)
დასაწყისი 20 ს.
ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში.

უმაღლესი წოდებაც, მსოფლიო რეკორდიც...

ინტერლაკენი (შვეიცარია), 29 ივნისი. ბრწყინვალე შედეგს მიაღწია მშვილდოსანთა აქ დამთავრებულ XXVIII მსოფლიო ჩემპიონატში დუშანბელმა სტუდენტმა, 19 წლის ზ. რუსტამოვამ: მან პირველად მოიხვეჭა უმაღლესი წოდება, თანაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 2465 ქულა (წინანდელი რეკორდი — 2380 ქულა — მოსკოველ ე. გაპჩენკოს ეკუთვნოდა). II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონი, ლვოველი ვ. კოვპანი (2430), III — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ხან სუ ხი.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში იზეიმა წარმატება და ეს გამარჯვება მსოფლიო რეკორდით დააგვირგვინა — 7252 ქულა.

ვაჟთა შორის ასეთივე ორმაგ წარმატებას მიაღწია ამერიკელმა სტუდენტმა ი. პეისმა: იგი ჩემპიონი გახდა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 2548 ქულა. პეისის საუცხოო გამოსვლამ განაპირობა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კოლექტივმა I ადგილი დაიკავა გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო რეკორდით — 7444 ქულა.

შეჯიბრებაში 39 ქვეყნის 235 მშვილდოსანი მონაწილეობდა.

ხალხთა სპარტაკიადა-75

● ტულა, 29 ივნისი. ველოსიპედისტ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ოქროს მედალი მიმდოლთ ტრეკზე ტულელმა თ. გარკუშინამ მოიგო 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში. ფინალურ სერიაში მისი დროა 4.12,96. ვერცხლის პრიზიორია ხარკოველი ა. ლუკუტინა, ხოლო ბრინჯაოსი — ტულელი ნ. მამარევა. სპრინტში ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლენინგრადელმა გ. ცარევამ, რომელმაც ფინალურ სერიებში მსოფლიოს ჩემპიონი, ტულელი თ. პილშიჩკოვა დაამარცხა. მსოფლიოს ჩემპიონმა სასპრინტო რბოლაში მეორე საფეხური დაიკავა, III ადგილზე კი მოსკოველი ე. პონომარიოვა გავიდა.

● კიევი, 29 ივნისი. საზღვაო სამსახურის უმცროსმა სერჟანტმა ს. რეპეტენკომ მეექვსე ორმხრივი ჩემპიონის საბლი მოიხვეჭა თანამედროვე ხუთჭიდში. აქ გამართულ შეჯიბრებაში მან თუმცა ჭაბუკთა (იგი 21 წლისაა) ასპარეზობდა, მაგრამ 5476 ქულა დააგროვა, რაც უფროსთა ტურნირის მონაწილეთათვისაც კი მიუწვდომელი აღმოჩნდა (აქ საუკეთესო იყო ბ. მოსოლოვი — 5413 ქულა). გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა აჯობეს ყველას.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილის — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივნის — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, 93-56-47, 93-97-53; ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-50; მასობრივი და სპორტის თეორიის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მხატვრულ-ტექნიკური — 93-97-59; ფოტოკორესპონდენტის — 93-97-58; გამომცემლობის — 93-93-81; კორექტორის — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02772